

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „კუზანოვ დენტი“

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6-12

**შპს „კუზანოვ დენტი“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისათვის**

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	30.12.2022	31.12.2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	113466	89252
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		4902	1216
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		53653	40837
<u>მარაგები</u>	-	<u>39050</u>	<u>42207</u>
სხვა		39050	42207
სხვა მოკლევადიანი აქტივები		1096	1281
ძირითადი საშუალებები	2	1121512	1159228
სულ აქტივები		1333679	1334021
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		53382	31508
საგადასახადო ვალდებულებები		4945	22893
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	3	347119	335040
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			68048
სულ ვალდებულებები		405446	457489
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		68000	68000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		860233	808532
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>	-	<u>928233</u>	<u>876532</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1333679	1334021

დირექტორი
მთ. ბუღალტერი

შპს „კუზანოვ დენტი“
2022 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის სრული შემოსავლებისა და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31.12.2022	31.12.2021
<u>ნეტო ამონაგები</u>	-	<u>1789257</u>	<u>1595858</u>
მომსახურების გაწევიდან		1789257	1595858
გაყიდვების თვითღირებულება		-464670	-481238
საერთო მოგება		1324587	1114620
დასაქმებულთა ანაზღაურება		-932750	-758182
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-150303	-102064
საპროცენტო ხარჯი		-5763	-7922
იჯარის ხარჯი		-16242	-14438
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-104464	-103858
<u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>	-	<u>-1209522</u>	<u>-986464</u>
საოპერაციო მოგება		115065	128156
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	4	10939	7270
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			7878
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		<u>126004</u>	<u>143304</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		-11145	0
<u>საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი</u>	-	<u>114859</u>	<u>143304</u>
<u>მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)</u>	-	<u>114859</u>	<u>143304</u>

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს „კუზანოვ დენტი“
2022 წლის 31 დეკემბრისათვის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	68000	808532	876532
წმინდა მოგება		114859	
სხვა სრული შემოსავალი	-	0	0
პერიოდის სრული შემოსავალი	-	114859	
გაცემული დივიდენდი	-	-63158	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	0	0
2021 წლის 31 დეკემბერი	68000	860233	928233

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ზოგადი ინფორმაცია

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “კუზანოვ დენტი” (შემდეგ - კლინიკა) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2008 წლის 16 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით **206333118**. კლინიკის იურიდიული მისამართია ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, ქ. წამებულის ქ., N53ა, ბ.N9, ხოლო ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი პავლე ასლანიძის ქ. 14.

კლინიკის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფართო პროფილის სტომატოლოგიური საქმიანობა.

- კომპანიის 60 %-ის წილის მფლობელია ივანე კუზანოვი, ხოლო 40%-ის რობერტ აგამირიანი;
- დირექტორია სოფიო ყაზახაშვილია.
- კლინიკის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრისთვის შეადგენს 68000 ლარს.

კლინიკაში 2022 წლს საშუალოდ დასაქმებული იყო 23 გამოცდილი და კვალიფიციური თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კლინიკა მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს. კლინიკა წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2022 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2022 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2022 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე

როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის

კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კლინიკაში დასაქმებულისგან.

შენიშვნა1 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	0	7682
ფული საბანკო ანგარიშებზე	113466	81570
სულ ჯამი	113466	89252

შენიშვნა 2 - ინფორმაცია

შპს „კუზანოვ დენტი“-ს ძირითადი საშუალებების თაობაზე

ინფორმაცია ძირითად საშუალებაზე	2022 წ. პერიოდის საწყისი მონაცემები				პერიოდში განხორციელებული ცვლილებები												პერიოდის ბოლოს მონაცემები					
					შემოსავალი		გასავალი						ცვეთა									
					შესყიდვა	კაპი	რეალიზაცია	სხვა														
დასახელება	რადიო	ლირებუ	აკუმულ	ნარჩენი	რადიო	ლირებუ	კაპი	რადიო	ლირებუ	ნარჩენი	გაყიდვები	სხვა	გაყიდვები	სხვა	გაყიდვები	სხვა	რადიო	ლირებუ	აკუმულ	ლირებუ	ულეზა	
შენიშვნა		942903	142230	800673											27384		942903	169614		773289		
სამედიცინო		428131	171692	256439		87860									83462		515991	255153		260838		
1.14 ავეჯი ოფისისათვის		61858	24667	37191		4209									12958		66067	37625		28442		
1.15 სხვა;		34365	19586	14780		549									10413		34914	29999		4915		
1.9 ელექტრონული მოწყობილობა		63000	20397	42602		18419									13429		81419	33826		47592		
1.8 კომპიუტერები.		12589	5046	7543		1550									2657		14139	7703		6436		
ჯამური მონაცემი		1542846	383618	1159228	0	112587	0	0	0	0	0	0	0	0	150303	0	1655433	533921		1121512		

შენიშვნა 3 - სესხები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
	286878	286878
	60541	48162
		68048
სულ ჯამი	347419	403088

შენიშვნა 4 წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)

ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
კურსთა შორის დადებითი სხვაობა გადაფასება	11461	7394
კურსთა შორის უარყოფითი სხვაობა გადაფასება	-522	-124
სულ ჯამი	10939	7270

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2022 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2023 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი